

**საქართველოს ორგანული კანონი
„სამართო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ
კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (პარლამენტის უწყებანი, №33, 31 ივლისი, 1997 წელი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო.“.

2. მე-17 მუხლში:

ა) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) უზრუნველყოფს სასამართლოში წესრიგის დაცვას, სასამართლოს სხდომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უფლებამოსილია დაადგინოს სხდომის დაწყებამდე პროცესის მონაწილეებისა და დამსწრე პირების შემოწმება და სასამართლოს შენობაში ან სხდომის დარბაზში ცალკეული საგნების შეტანის აკრძალვა. ასევე უფლებამოსილია, დარბაზის ფართიდან გამომდინარე, შეზღუდოს სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირთა ოდენობა;“.

გ) მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოვალეობებს.“.

3. 21-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სააპელაციო სასამართლო საპროცესო კანონით დადგენილი წესით, კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ერთპიროვნულად განიხილავს სააპელაციო საჩივრებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. სააპელაციო სასამართლო ახორციელებს ასევე საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ უფლებამოსილებას.“.

4. 22-ე მუხლში:

ა) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) უზრუნველყოფს სასამართლოში წესრიგის დაცვა სასამართლოს სხდომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფა უფლებამოსილია დააგინოს სხდომის დაწყებამდე პროცეს მონაწილეებისა და დამსწრე პირების შემოწმება და სასამართლო შენობაში ან სხდომის დარბაზში ცალკეული საგნების შეტანი აკრძალვა. ასევე უფლებამოსილია, დარბაზის ფართიდ, გამომდინარე, შეზღუდოს სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირი ოდენობა;“;

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხ უფლებამოსილებებს;“.

5. ამოღებულ იქნეს V თავი.

6. 46-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგ რედაქციით:

„1. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარია მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციო დადგენილ მოთხოვნებს, ასევე ფლობს სახელმწიფო ენას ; ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა.“

7. 47-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდ შემდეგი რედაქციით:

„1. რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლო მოსამართლის თანამდებობაზე წარდგენა ხდება კონკურსის წესით.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო რაიონულ (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოში მოსამართლე თანამდებობაზე ვაკანსიის წამოშობიდან არა უგვიანეს 7 დღისა მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არა უადრეს და არა უგვიანეს 30 დღისა აცხადებს კონკურსს საქართველო რეგიონალური ბუჯდვითი ორგანოს მეშვეობით. მოსამართლეო კანდიდატების რეგისტრაცია წარმოებს კონკურსის გამოცხადებიო არა უადრეს 15 და არა უგვიანეს 30 დღისა. რეგისტრაციის ვაო განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კონკურ გამოცხადებისას. კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობის მისაღეო უნდა წარადგინოს განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესაო ხოლო მოსამართლეობის კანდიდატად რეგისტრაციიდან 7 დღეშო კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ცნობა თანამდებობის პიო ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის თაო. დეკლარაციის ტექსტი არავისთვის არ არის ხელმისაწვდომი ამ პიო თანამდებობაზე დანიშვნამდე, მისი თანხმობის გარეშე. გაო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“.

8. 48-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 48. მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნა რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.“.

9. 51-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 51. მოსამართლის თანამდებობრივი შეუთავსებლობა მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი გამონაკლისისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური გაერთიანების წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.“.

10. 53-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 53. მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.“.

11. 55-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ანდა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე მოსამართლე ჩამოცილებულ უნდა იქნეს საქმის განხილვისაგან და სხვა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისაგან.“.

2. რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის საქმის განხილვისაგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.“.

12. მე-60 მუხლის:

ა) მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება 16 წევრისაგან. მის შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი და საქართველოს გენერალური პროკურორი.“.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორ წევრი ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი; სამ წევრს, რომელთაგან ორი არის საქართველოს პარლამენტის წევრი, ირჩევს საქართველო პარლამენტი; 7 წევრს საერთო სასამართლოების მოსამართლეები და ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია საქართველო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, თუ ის არ არის საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს იუსტიციის მინისტრი ან საქართველოს გენერალური პროკურორი, შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე ოცდახუთი წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება.“;

გ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საქართველო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, თუ იგი არ არის საქართველო პარლამენტის წევრი ან მოსამართლე, არ შეიძლება ეკავოს რაიმე სხვა თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან თვითმმართველობის ორგანოში, ან ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას გამონაკლისს წარმოადგენს სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობა.“.

13. 62-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგ რედაქციით:

„2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისად საქართველო პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტი ან საქართველო მოსამართლეთა კონფერენცია საქართველოს უზენაესი სასამართლო თავმჯდომარის წარდგინებით.

3. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საფუძვლებისა, საქართველოს პარლამენტის წევრის, მოსამართლის და თანამდებობის მიხედვით შემავალი საქართველოს იუსტიციის საბჭო წევრის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველს წარმოადგენ შესაბამისად საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება შეწყვეტა ან მოსამართლის და თანამდებობის მიხედვით შემავალ წევრის თანამდებობიდან განთავისუფლება (გადაყენება).“.

14. 63-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგ რედაქციით:

„1. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარები უფლება აქვს ოცდახუთი წლის ასაკს მიღწეულ უმაღლეს იურიდიული განათლების მქონე საქართველოს ყველა მოქალაქეს.“.

15. დაემატოს XI¹ თავი და 76¹ – 76⁴ მუხლები შემდეგ რედაქციით:

„თავი XI“
სასამართლოს მანდატური

მუხლი 76¹. სასამართლოს მანდატური, სასამართლოს მანდატურის სამსახური

1. საერთო სასამართლოს აპარატის სტრუქტურაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სასამართლოს მანდატურის სამსახური, რომლის ძირითადი ამოცანაა სასამართლოს შენობის დაცვის, ასევე სასამართლოს შენობაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა.

2. სასამართლოს მანდატურის სამსახურების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას და კონტროლს ახორციელებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

3. სასამართლოს მანდატური არის საჯარო მოსამსახურე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე.

5. სასამართლოს მანდატურად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, თუ იგი ფლობს სახელმწიფო ენას და აქვს სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელებისათვის შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. სასამართლოს მანდატურად სამსახურის ზღვრული ასაკი არის 50 წელი.

6. სასამართლოს მანდატურად არ შეიძლება დაინიშნოს ნასამართლები პირი.

7. სასამართლოს მანდატური სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელებისას ატარებს სამსახურებრივ ფორმას და სამკერდე ნიშანს. სამსახურებრივ ფორმას და სამკერდე ნიშანს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.

მუხლი 76². სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსი

1. სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე.

2. სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსი უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის 76¹ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსად ინიშნება უმაღლესი განათლების მქონე პირი.

3. სასამართლო მანდატურის სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სასამართლო მანდატურის სამსახურის საქმიანობას, პასუხს აგებს სასამართლო მანდატურის სამსახურის ამოცანების შესრულებისათვის;

ბ) უზრუნველყოფს სასამართლოს თავმჯდომარის, ასევე სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მითითებების დროულ და

სათანადო შესრულებას;

გ) აძლევს შესაბამის მითითებებს სასამართლოს მანდატურებმათი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით;

დ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვ უფლებამოსილებებს.

მუხლი 76³. სასამართლოს მანდატურის უფლებამოვალეობანი

1. სასამართლოს მანდატური:

ა) უზრუნველყოფს მოსამართლეების, პროცესის მონაწილეების და მოწმეების უსაფრთხოებას;

ბ) ახორციელებს სასამართლოს შენობასა და სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას;

გ) წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით ასრულებს სასამართლო თავმჯდომარისა და სასამართლო სხდომის თავმჯდომარე მითითებებს;

დ) იცავს სასამართლოს შენობას;

ე) ამოწმებს სასამართლო პროცესის დაწყებისათვის სასამართლო დარბაზის მზადყოფნას, მოსამართლის მითითები უზრუნველყოფს სასამართლო სხდომის დარბაზში სისხლი სამართლის საქმისა და ნიუმტიციციების გადატანას და დაცვას;

ვ) აღკვეთს სასამართლოს შენობაში სამართალდარღვევა ავლენს დამრღვევებს, აუცილებლობის შემთხვევაში, აკავებს მა პოლიციისათვის გადაცემის მიზნით და ადგენს ამის თაობაზე დაკავების ოქმს, რომლის ფორმასაც ამტკიცებს საქართველო იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

2. სასამართლო მანდატურს სამსახურებრივი მოვალეობები განხორციელებსას უფლება აქვს:

ა) გამოიყენოს ფიზიკური ძალა, სპეციალური საშუალებები და იარაღი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და წესით;

ბ) აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართოს პოლიციას.

მუხლი 76⁴. სასამართლოს მანდატურის მიერ ფიზიკური ძალის სპეციალური საშუალებებისა და იარაღის გამოყენების შემთხვევა და წესი

1. სასამართლოს მანდატურს ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და იარაღის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ შემთხვევაში, როდესაც სხვა, შედარებით მსუბუქი ზომები გამოყენებით შეუძლებელია მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება.

2. სასამართლოს მანდატურს ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება, ამ მუხლის პირველი პუნქტ დადგენილი პირობის გათვალისწინებით, აქვს შემდეგ შემთხვევებში:

ა) სამართალდარღვევის აღკვეთისას და სამართალდამრღვევ

დაკავებისას;

ბ) მოსამართლეებზე, პროცესის მონაწილეებზე, მოწმეებსა და სასამართლო დარბაზში მყოფ პირებზე თავდასხმის მოგერიებისას;

გ) სასამართლოს მანდატურისათვის მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ფიზიკური წინააღმდეგობის გაწვევისას;

დ) დაკავებული პირის პოლიციისათვის წარდგენისას, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი იმის ვარაუდისათვის, რომ დაკავებული მიიმალება ან ზიანს მიაყენებს გარშემომყოფთ.

3. სასამართლოს მანდატური უფლებამოსილია იარაღი გამოიყენოს შემდეგ შემთხვევებში:

ა) შეიარაღებული თავდასხმის მოგერიებისას ან მისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწვევისას;

ბ) მოსამართლეზე, სასამართლო პროცესის მონაწილეზე, მოწმეზე ან სასამართლო სხდომის დარბაზში ან შენობაში მყოფ პირზე შეიარაღებული თავდასხმისას.

4. ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და იარაღის გამოყენების დროს სასამართლოს მანდატური ვალდებულია:

ა) გააფრთხილოს პირები ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებების და იარაღის გამოყენების შესახებ, მისცეს მათ საკმარისი დრო იმისათვის, რათა შეასრულონ მისი მოთხოვნები, იმ შემთხვევის გარდა, როცა დაყოვნება გამოიწვევს სასამართლო მანდატურის ან სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნას, ან სხვა მძიმე შედეგებს, ან როდესაც წინასწარ გაფრთხილება შეუძლებელია;

ბ) ფიზიკური ძალა, სპეციალური საშუალებები და იარაღი გამოიყენოს საფრთხის ხასიათის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მიყენებული ზიანი იყოს მინიმალური;

გ) ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებების და იარაღის გამოყენების ნებისმიერ შემთხვევაში, მათი გამოყენებიდან 24 საათის განმავლობაში წერილობითი ფორმით შეატყობინოს ამის შესახებ სასამართლოს თავმჯდომარეს;

დ) ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და იარაღის გამოყენებისას საფრთხე არ შეუქმნას გარშემომყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

5. აკრძალულია ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებების და იარაღის გამოყენება ფეხმძიმე ქალის, შეზღუდული უნარის მქონე პირისა და არასრულწლოვანის მიმართ. ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფეხმძიმე ქალის, შეზღუდული უნარის მქონე პირისა და არასრულწლოვანის მოქმედებით აშკარა საფრთხე ექმნება მანდატურის ან სხვა პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. იარაღის გამოყენება ფეხმძიმე ქალის, შეზღუდული უნარის მქონე პირისა და არასრულწლოვანის მიმართ დასაშვებია, როდესაც მათ

მიერ ხორციელდება შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა ან შეიარაღებული თავდასხმა“.

16. 77-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია“ არის საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითშმართველობის ორგანო. მოსამართლეთა კონფერენცია შედგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეებისაგან.“.

17. 78-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სისტემაში, ამ კანონის 77-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად, იქმნება:

ა) ადმინისტრაციული კომიტეტი;

ბ) საკოორდინაციო საბჭო.“;

ბ) მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მოსამართლეთა კონფერენციის სხდომებს შორის შუალედში საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით აირჩიოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი“;

გ) მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

18. 79-ე მუხლის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს“;

ბ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ისმენს მოსამართლეთა კონფერენციის ხელმძღვანელის, საკოორდინაციო საბჭოსა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარეების ყოველწლიურ ანგარიშს ამ ორგანოთა მუშაობის შესახებ.“.

19. 82-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ყოფილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილ მოსამართლეს და ყოფილი რაიონის (ქალაქის) სასამართლოს ყოფილ მოსამართლეს, რომელთაც 1999 წლის 15 მაისიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ და „ო“ ქვეპუნქტებისა და 86¹ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე შეუწყდათ სამოსამართლო უფლებამოსილება და ამ კანონის ამოქმედებამდე ან მას შემდეგ

მიღწიეს საპენსიო ასაკს და აქვთ მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟი, სამისდღეშო პენსია ენიშნებათ შესაბამისად სააპელაციო სასამართლოს მოქმედი მოსამართლისათვის და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოქმედი მოსამართლისათვის განსაზღვრული ხელფასის სრული ოდენობით, მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლის, საპენსიო ასაკის მიღწევის ან სასამართლო წყობილების შეცვლასთან დაკავშირებით სასამართლოს ლიკვიდაციის შემთხვევაში.“.

20. 85-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტები.

21. ამოღებულ იქნეს 85¹ მუხლი.

22. ამოღებულ იქნეს 86-ე მუხლი.

23. 86¹ მუხლიდან ამოღებულ იქნეს პირველი – მე-6 პუნქტები.

24. ამოღებულ იქნეს 86² მუხლი.

25. ამოღებულ იქნეს 87-ე მუხლი.

26. ამოღებულ იქნეს 87¹ მუხლის მე-3 პუნქტი.

27. ამოღებულ იქნეს 87² მუხლი.

28. ამოღებულ იქნეს 88-ე მუხლი.

29. 88³ მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პრეზიდენტმა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2005 წლის 1 ნოემბრამდე უზრუნველყონ საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების ლიკვიდაციასთან, ასევე სააპელაციო სასამართლოების შექმნასთან დაკავშირებული სამართლებრივი, საკადრო, ორგანიზაციული და სხვა საკითხების გადაწყვეტა.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი